# ჯარიმა ინვენტარიზაციით გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისზე

N1729

## ფაქტობრივი გარემოებები

პირს სააღრიცხვო (ბუღალტრული) მონაცემებით ერიცხება 2 სახეობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთი: შაქარი - 10 000 კგ-ის და ფქვილი - 20 000 კგ-ის ოდენობით

საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, შაქრის ნაშთზე დადგინდა დანაკლისი 500 კგ-ის ოდენობით, ხოლო ფქვილის ნაშთზე დანაკლისი არ დადგინდა

პირს დანაკლისის შესახებ ინფორმაცია ინვენტარიზაციის დაწყებამდე არ მიუწოდებია საგადასახადო ორგანოსათვის

## შეფასება

სსკ-ის 286 მუხლის:

- მე-9 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად. ამასთანავე, თუ სმფ-ების დანაკლისი საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, პირი დამატებით ჯარიმდება ამ სმფ-ების საბაზრო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით. ამავე მუხლის

- მე-10 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია არ გამოიყენება, თუ სმფ-ების დანაკლისის ოდენობა ამავე სახის აღრიცხული სმფ-ების 2 პროცენტს არ აღემატება

ის ფაქტი, რომ დანაკლისი არ აღემატება ორივე სახეობის სმფ-ის ჯამური ოდენობის 2%-ს - 600კგ-ს (30000*2%), მხედველობაში არ მიიღება. პირს ჯარიმა დაეკისრება შაქრის დანაკლისის მთლიან ოდენობაზე

## ღონისძიებები

პირს დაეკისრება სსკ-ის 286-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა - 500 კგ შაქრის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით

- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2019 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით;
- სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მხოლოდ გამოვლენილი დანაკლისის გამო ჯარიმის დაკისრების საკითხს და არ არეგულირებს სმფ-ის დანაკლისის მიწოდებად განხილვის შედეგად საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხს.

**ანოტაცია**

**ჯარიმა ინვენტარიზაციით გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისზე №1729 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის გამო პირისათვის ჯარიმის დაკისრების საკითხს. ამასთან, იგი არ არეგულირებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის მიწოდებად განხილვის შედეგად საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, პირს სააღრიცხვო (ბუღალტრული) მონაცემებით ერიცხება 2 სახეობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთი: შაქარი - 10 000 კგ-ის და ფქვილი - 20 000 კგ-ის ოდენობით.

საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, შაქრის ნაშთზე დადგინდა დანაკლისი 500 კგ-ის ოდენობით, ხოლო ფქვილის ნაშთზე დანაკლისი არ დადგინდა. ამასთან, პირს დანაკლისის შესახებ ინფორმაცია ინვენტარიზაციის დაწყებამდე არ მიუწოდებია საგადასახადო ორგანოსათვის.

სსკ-ის 286 მუხლის:

- მე-9 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად. ამასთანავე, თუ სმფ-ების დანაკლისი საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, პირი დამატებით ჯარიმდება ამ სმფ-ების საბაზრო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით. ამავე მუხლის

- მე-10 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია არ გამოიყენება, თუ სმფ-ების დანაკლისის ოდენობა ამავე სახის აღრიცხული სმფ-ების 2 პროცენტს არ აღემატება.

ის ფაქტი, რომ დანაკლისი არ აღემატება ორივე სახეობის სმფ-ის ჯამური ოდენობის 2%-ს - 600კგ-ს (30000*2%), მხედველობაში არ მიიღება. პირს ჯარიმა დაეკისრება შაქრის დანაკლისის მთლიან ოდენობაზე.

შესაბამისად, პირს დაეკისრება სსკ-ის 286-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა - 500 კგ შაქრის საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით.